

საქართველოს მზაობა მდინარეთა სააუზო მართვის სისტემაზე  
გადასასვლელად

მირანდა ავაქიძე

*ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინისა და  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტზე ბუნების დაცვისა და  
მეტყვეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ბუნების დაცვა და მეტყვეობა

**სამეცნიერო ხელმძღვანელები:**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან უგრეხელიძე, მკვლევარი

თანახელმძღვანელი: გვანცა სივსივაძე - პრაქტიკოსი, ექსპერტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მირანდა აფაქიძე

18.01.2022

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებები გარემოს დაცვის სფეროში, კერძოდ კი ევროკავშირის „წყლის ჩარჩო დირექტივასთან“ კანონმდებლობის დაახლოება, რასაც ითვალისწინებს საქართველოს ახალი კანონპროექტი წყლის რესურსების მართვის შესახებ. კანონპროექტით დაგეგმილია ახალი რეფორმის განხორციელება წყლის მართვის კუთხით, რაც გულისხმობს, მდინარეთა ინტეგრირებული მართვის ერთ-ერთ პრინციპზე - მდინარეთა სააუზო მართვის სისტემაზე გადასვლას. წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის მზაობის შეფასება როგორც ეროვნულ ისე, ადგილობრივ დონეზე, ასევე იმ რისკებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება, რაც დაკავშირებული იქნება ქვეყნის სააუზო მართვის სისტემაზე გადასვლასთან. ჩემი კვლევის ფარგლებში გავეცანი სხვადასხვა სახის ლიტერატურას, სამეცნიერო პუბლიკაციებს წყლის ინტეგრირებული მართვის პრინციპების, კერძოდ კი, სააუზო მართვის სისტემის შესახებ, ასევე გავეცანი იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომლებმაც მოახერხეს მდინარეთა სააუზო მართვის სისტემის წარმატებით დანერგვა. იმისათვის, რომ ჩემი კვლევის მიზნებისთვის მიმეღწია, პირველ ეტაპზე, წინასწარ შედგენილი კითხვარის მეშვეობით გამოვკითხე ის მუნიციპალიტეტები, რომლებიც უშუალოდ მოიცავდნენ კონკრეტულ სააუზო უბნებს, მოპოვებული ინფორმაცია დამეხმარა სცენარის ზოგადად შეფასებაში, კერძოდ კი საშუალება მომცა შემეფასებინა თუ რა დონეზე იყვნენ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ინფორმირებულნი მდინარეთა სააუზო მართვის სისტემის შესახებ. კვლევის მეორე ეტაპზე, ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუ როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რათა მათი მოსაზრებებისა და წინასწარი დასკვნების საფუძველზე გამეგო თუ რა რისკებთან და გამოწვევებთან არის დაკავშირებული აღნიშნულ სისტემაზე გადასვლა და რა შედეგის მომტანი იქნება ეს პროცესი როგორც მუნიციპალიტეტებისთვის, ისე ქვეყნისთვის.

წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა შესაბამისი დარგის ექსპერტთა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა მოსაზრებებს, მათ შეხედულებებს სააუზო მართვის სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ასევე, მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, შემუშავებულ რეკომენდაციებს.

### **მადლობა**

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და თითოეულ ლექტორს, ვინც ორი წლის მანძილზე თავდაუზოგადვად ცდილობდა სწავლების პროცესი ყოფილიყო საინტერესო და სტუდენტებზე ორიენტირებული. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ნაშრომის ხელმძღვანელს - ქეთევან უგრეხელიძეს და თანახელმძღვანელ-გვანცა სივსივაძეს, რომლებიც დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ნაშრომის წერის ყველა ეტაპზე აქტიურად იყვნენ ჩართულები პროცესში, მუდმივად მაძლევდნენ რჩევებს და მზად იყვნენ ჩემი ნაშრომის წასაკითხად. მადლობა ყველა იმ ექსპერტსა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენელს, ვინც გამოხატა მზაობა ჩემს სამაგისტრო კვლევაში მონაწილეობის მისაღებად. დიდი მადლობა ასევე ჩემს კოლეგას - მეგი გამტკიცულაშვილს რჩევებისა და ყოველდღიური მხარდაჭერისთვის.